ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 91. კვირა, 26 აპრილი 1909 წ. დამატების № 17.

საიდუმლო.

დასასრული *)

XI

— აქა მშვიდობა! — შეილაპარაკა ბარბარემ, როცა თავად დავითისას შესდგა ფეხი.

ტახტზე მიწოლილმა დავითმა ოდნავ დაუკრა თავი და ელენეს ოთახზე მიუთითა. ნატალიაც გამოეგება, უსიტყვოდ სტაცა ხელი და შეარბენინა ავადმყოფთან. ბარბარემ შალი მოიხადა, ბოღჩა სკამზე დასდო, ნამგზავრი ხელები სანთელზე მოითბო და ბოღჩა გახსნა.

— კნეინა წყალი და ტაშტი მინდა!

— შენ გენაცვალე, რა დროს წყალია, ყველაფერი იქნება, ჯერე ქალი ნახე...

— მეიცა ქალბატონო, მეიცა, ვერსად ვერ გეიქცევა. ხელ დაუბანელი რავა მივალ ავათმყოფთან! — უთხრა ბარბარემ, თეთრი წინ-საფარი გაიკეთა, სახელოები კარგად გადიკაპიწა, ხელები ღონივრად დაიბანა და დაუწყო შინჯვა ავადმყოფს.

— ქალებო, რისი ბებიები ხართ, თვარ შეატყოფთ ავადყოფს? — მიუბრუნდა ბოლოს ბებიაქალებს.

— ხო კვტარია ბალანე? — ჰკითხა ახალგაზრდა ბებიამ.

— რაი? თვარ იცი, დია, ხელობა, სახელს მაინც ნულარ გვიტეხთ, დაანებეთ თავი! ვანა ხო გაქ, ქალბატონო, ცხელი წყალიც ბზათ გაქვენ, არა? ცხელი ვანა უნდა გოუკეთო. გაგიციებიათ ქალი, შვილო! აპა, დატრიალდით! მე თქვენი კამანდერი ვარ ახლა და თქვენ ჩემი სალდათები... აი, თქვე გლახებო, რავა დაგიქინდრავენ კისრები? სამას თერთმეტი ქალი მოუტრჩენია ბარბალიას, ყოველთვინ მასეთი დღე რო დამდგომოდა, ცხრაჯერ დავბერდებოდი ამდონ ხანს! — გაიხუმრა ბარბარემ. — შამამხედეთ, ვარდივით რო მაქ ლოყები, ეგი ჩემი მხიარული ხასიათის წყალობით მა!! — დაუმატა.

მონობა, — სურათი ს. შნაიდერისა.

ელენეს ამ დროს ცოტად გადავლილი ჰქონდა ტკივილი და თითქმის გაეცინა კიდეც ბარბარეს სიტყვებზე. შავ, დაკონკილ მჩვარს მიუგავდა ბარბარეს სახე. შავგვრემანი, მზისაგან დამწვარი სახე ყვავილსაც ლაზათიანად დაეკენკა, წარბის ბეწვები აქა იქ ამოეგლიჯა. წვრილ მილეულ თვალების ირგვლივ ძლივს მოსჩანდა რაღაც ფოჩები წამწამის მგზავსად, შავი დამჭკნარი ტუჩები, გალეული ცხვირი და პატარა ტანი, — ასეთი გახლდათ ბარბარეს გარეგნობა. მაგრამ ამ პატარა მახინჯ ადამიანის აგებულებაში ოქროს გული სძგერდა, სიცოცხლითა და მხიარულებით სავსე ხასიათი თავსდებოდა. „მკვდარსაც-კი გააცინებსო“, ამბობდნენ.

სამი საათის განმავლობაში ორჯერ ჩააწვინა ავადმყოფი ცხელ წყალში. ელენემ ერთი ღონივრად შეჰკივლა და დაჩუმდა დილის ოთხი საათი იყო, რომ წრიპინი გაისმა. ამ ხმის გაგონებაზე ელენეს ყოველი ტანჯვა დაავიწყდა.

— ვაააა, ვაა, ვაააა! — მოუხშირა პატარა არსებამ ყვირილს.

— ა, შე მაიმუნო, რავა დააქციე შენი არჩივი ქვეყანა! რაც დედაშენი აყვირე არ გეყოფა? — ჩასძახა ბარბარემ და ტკაცუნით შემოჰკრა ბელი რბილ სხეულზე. — ბიჭია, ქალბატონო, ბიჭი! ღმერთმა გაგიზარდოს! — უთხრა ელენეს.

*) იხ. დამატება № 16.

რევოლიუციია ოსმალეთში.

31 მარტი. პირველი დღე კონტრ-რევოლიუციისა. აჯანყებული ჯარი, სოფტები და მოლები აია-სოფიის მოედანზე.

— ჯერე ბაღანას უნდა მივხედო, ხო გაქ ფალასები? — მიუბრუნდა მერე ნატალიას.

— კი, ჩემო ბარბალე. ყველაფერი იქნება, ჯერე ქალი გადავაწვინოთ მოორე ლოგინზე...

— მაცა, ქალბატონო, მაცა. მე ჩემ ჩვეულობას ვერ შევცვლი. ახლა, ხვთით, კარქათაა ქალი და რა მეჩქარება.

— კარქი, შენ იცი. — უთხრა კნეინამ და თითის ბრჩხილები კბილით მოიკვნიტა. სახეზე აზრის მოძრაობა და რყევა დაეტყო. თავი გაიქნია და რაღაც სულიერ ბრძოლას სძლია. მერე მიუბრუნდა ორ ბებია-ქალს: — თქვენ გადით ახლა სამზარეულოში. დედაკაცს წყალი გააცხელებიეთ, დაგვჭირდება... აქ საჭირო აღარა ხართ. იქნება დაეძინოს... შვილო! კიდეც დოუძინია.

XII

ელენეს მართლაც ჩასთვლიმა. ოთხი დღის ნაბრძოლს სიამოვნებით ჩაეძინა. დედაკაცები ფეხაკრეფით გავიდნენ ოთახიდან, ნელა გაიარეს დარბაზი, უკან აივანზე ჩავიდნენ და გაემართნენ სამზარეულოსაკენ. კნეინა ნატალიამ დაუგდო ყური. ფეხის ხმა მისწყდა. ფანჯარასთან მივიდა, გადასწია ფარდას და გაიხედა.

— ისევ სიბნელეა... ყორიფელი ხელს მიწყობს... ღმერთო, შენ მომე გამბედაობა! — ძლიერის სულის თქმით მივიდა ბარბარესთან, რომელიც თვალს ადევნებდა იმის მოძრაობას, მოჰკიდა ხელი, მიიყვანა კუთხეში და უფრო დაუწია აკანკალებულ ხმას: — ბარბალე! შენი სულის ჭირიმე... შენი დახმარება მეჭირება ახლა... შვილი ხო გადამირჩინე, ამ საქმეშიაც შემეწიე... ცოდვა სულ ჩემ კისერზე იყოს.

— რისი ცოდვა, ქალბატონო? — ჰკითხა გაკვირვებულმა ბარბარემ.

— ახლავე უნდა მოსპო... შენ ამ შალში გახვიე ძაან, პირი ოუკარი... კიდო სიბნელეა... ვერაკაცი ვერ დაგვინახავს... ელენეს ძინავს.. ბაღში, მე მოვთხრი... უნდა ჩავაგდოთ...—უთხრა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, არეულად და განივრად გაღებული თვალები მიაჭყიტა გაფითრებულ დედაკაცს. — ხო გეიგონე?. — თან ჭრელი შალი მიაჩეჩა ხელში.

— რა მითხარი ეგი, ქალბატონო?! რა უნდა ჩავაგდოთ, ვერ გამიგია...

— ბოვში... უკანონოა... სირცხვილია... — უთხრა კიდევ უფრო არევით.

— რატო არ დემეფსება ყურები?! რა გევიგონე ეგი ქრისტიანი კაცის ენიდან! რას ამბობ, ადამიანო, სული საეშმაკოთ კი არ მომძულებია! ცოცხალი ადამიანი დავმარხო?..

— სსუუ... შენი საქმე არ არის... — დააფარა ნატალიამ ტუჩებზე ხელი. — ხმა არ ამეიღო, რასაც გიბრძანებ, უსიტყვოთ უნდა შეასრულო... შენ გეცოდინება და მე... ცას და მიწას... გესმის? გიბძანებ! — ისეთის გადაწყვეტილის კილოთი უთხრა, რომ ბარბარემ ნათლად დაინახა, ამ უგულო დედაკაცთან ხვეწნა-მუდარით ვერას გახდებოდა. მახვილი გონება მოიკრიბა, რაღაც მოიფიქრა, მორჩილი სახე მიიღო და თავი ძირს დახარა.

— თქვენი ნებაა, ქალბატონო... მე სულელმა რა ვიცი... ალბათ თქვენ უფრო მოგეხსენებათ.

— ჰო, ასე, შე სულელო... რამდონი უკანონო ჩდება, ყველას რო ზრდიდენ, ქვეყანა ბუშებით ეივსებოდა. — უთხრა გამხნევებულმა ნატალიამ.

— კარქი, ქალბატონო. რავა ღმერთი გამიწყრება, რავა ვიტყვი.

— მიწაში უნდა ჩეიტანო ეს საიდუმლო... ვითამ ბოვში უდღეური იყო და მოკვტა... გესმის!...

— კი მესმის, ქალბატონო, ნულარ ვაყონებთ. წაბრძანდი, ჩქარა მოთხარე, მე გავახოვ და მევიყვან...

— კარქი... მივალ... კიბეზე ნელა ჩამო... ხო იცი? მარჯვნივ ტალავერისკენ მოუხვიე..

— კარქი, კარქი. — ამ სიტყვებით მიაცილა კნეინა კარებამდე, საჩქაროდ მობრუნდა, ყმაწვილი ფაცა-ფუცით რაღაც თეთრ ფალასებში გაახვია, მერე შალი შემოახვია, უბეში ჩაიდო და თან თავისი შალი წამოისხა.

„ღმერთო მიხსენ საცოდაობისაგანო“, წაიჩურჩულა, თავის ჯოხს ხელი დაავლო, სწრაფად გავარდა განის კარებიდან, ეზოს ერთი თვალი მოავლო და ჩქარის ძუნძულით გასწია მოპარულის ტვირთით.

კნეინა ნატალია დიდ ხანს ელოდა დანიშნულ ადგილას ბებია ქალს. უკვე დამზადებული ჰქონდა უდანაშაულოს საფლავი და გულის-ძგერით მისჩერებოდა სახლს. ნატალიამ რაღაცას მოჰკრა თვალი. თითქოს ადამიანი იყო. ბოსტნის მესერზე გადახტა და ტყეს შეაფარა თავი. კნეინა შეკრთა, მაგრამ მალე გული გაიმაგრა: „ფუი ეშმაკს, მომეჩვენა რაცხა“, ჩაილაპარაკა და ისევ სახლს მიაჩერდა.

— რა ვქნა, ფეხები ხომ არ დეემტვრა, ან ელენემ ხვარ გეიღვიძა?

ქვეყანას თან და თან შემოეხვია ბოლის ფერი ბურუსი. სახლში ვიღამაც დაახველა. სამზარეულოს კარი ჭრიალით



რევოლიუციია ოსმალეთში.

31 მარტი. პირველი დღე კონტრ-რევოლიუციისა. სამხედრო სამინისტროს აკლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიღო და ვიღაც გამოვიდა გარედ. ნატალიას ბარი დაუვარდა ხელიდან. მოთხრილ მიწას ფეხი წაჰკრა და ისევ ჩაუშო პატარა ორმოში, მერე კვლავ აიღო ბარი, შორს გადისროლა, თითქმის სირბილით გაქანდა სახლისაკენ. ელენეს ოთახში შევიდა. გულზე ხელი დაიდო გულის ცემის შესაჩერებლად. ელენეს ისევ ისე ეძინა. მიიხედ-მოიხედა, აღარა სჩანდნენ აღარც ბებია-ქალი და აღარც ბავშვი. ელდა ეცა, ფერმა გადაჰკრა, ყოველ კუთხეს მივარდა, მაგრამ ამაოდ — ვერაფერი ვერ ნახა.

— ვაიმე! — დაიძახა და შემოიკრა სახეზე ხელი. — გამაბრიყვა და გამექცა. ალ-ქაჯი დედაკაცია, სირცხვილს ვინ ჩივის, დამღუპავს! — კიდევ შედგა, ჩაფიქრდა. — არა, სანამ იგი ჩემ შერცხვენას მოასწრებდეს მანემდის, ასჯერ მოუგრეხ კისერს მამი ჩემის მეღორის შვილს... ვისი წინააღმდეგობა გაბედა?

— დედა, ბოვში მაჩვენე, ბოვში... რას ლაპარიკობ მაქ შენთვის მარტო, — მოისმა ელენეს მისუსტებული ხმა.

ნატალია შეკრთა, აირია, მაგრამ ისევ ჩქარა მოიკრიბა ძალა:

— შვილო, ბოვში? ბოვში... ბოვში კვტარი დეიბადა.

— რას ამბობ, დედა ჩემო, რავა თუ კვტარი? მე მესმოდა ჩემი შვილის ხმა! — ელენემ წამოიწია ლოგინიდან.

— კვტარი... დედა შვილობამ.

— სტყუი! — შეუყვირა ელენემ, რამდენადაც შეეძლო, თან წამოჯდა. — მომიკალით ბოვში, მომიკალით, თქვე ულმერთოებო?!.

— მართალია, ცოცხალი დეიბადა, მაგრამ თუთხმეტი წამი იცოცხლა და მოკვტა. — უთხრა გულ ცივად დედამ. — დაწევი, შენი ჯდომა არ შეიძლება. — მოჰკიდა ხელი და უნდოდა მიეწვინა, მაგრამ ელენემ ჰკრა ხელი და შორს გადისროლა.

რევოლიუციია ოსმალეთში.

31 მარტი. კონსტიტუციის ერთგული ჯარი ზარბაზნებს ამზადებს რეაქციონურ ჯართან შესაბრძოლებლად, სანამ სალონიკელნი მივიდოდნენ.

— მიჩვენე, მკვდარი მიჩვენე! — გაფითრებულ სახეზე გიჟივით აბრიალებდა თვალებს.

— ჭკუა მეიცი მა თავში, ჭყინტ ბაღანას სახლში გავაჩერებდი? დავმარხე...

— დამარხეთ?! — დაიძახა ელენემ. — დამარხეთ... ჩემი გული... ჩემი ტვინი, ჩემი შვილი... — გიჟივით წამოიჭრა ლოგინიდან, შუა ოთახში შედგა, რაღაც ნაირი, არა ადამიანური ხარხარი ამოსკდა გულიდან, ორივე ხელი ძუძუებში წაივლო: — დამარხეს! დამარხეს!... — დაიძახა კიდევ და თმა გაწეწილი გავარდა გარედ. ნატალია კივილით გამოუდგა აივნის კარებთან დაეწია, გრძელ თმაში მისწვდა, დაითრია, და ელენე უგონოდ მძიმედ დაეშვა ძირს.

XIII

ორი წლის შემდეგ, შუაღამისას, ვიღაც ცხენოსანი მიადგა ბარბარეს ეზოს. ბებია-ქალი იკითხა. ბარბარე გამოეგება. სტუმარი ცხენიდან გადმოხტა და ბარბარეს რაღაც უთხრა ჩუმად. ბარბარემ უკმაყოფილოდ დაუკრა თავი.

— წამობრძანდი. — გაუძღვა წინ და შეიყვანა თავის პატარა სახლში. — დაბრძანდი, ახლავე გეახლები, — უთხრა სტუმარს და გავიდა.

უცნობმა ნაბადი მოიხადა, ყაბალახი მოიძრო და გამოჩნდა ხნიერი, საშინლად გამოცვლილი, სახე დანაოჭებული ჰქონდა. დედაკაცი იყო. ორ წუთში ისევ შემობრუნდა ბარბარე. შემოიყვანა ვარდივით გაფურჩქვნილი, წითელ ლოყა და შავთვალება ორი წლის ბავშვი.

— ეს არის.. ძროხის რძით გავზარდე... რავა ფიქრობ, კნეინა, შემძლებია თუ არა, საიდუმლოს შენახვა? — უთხრა და ღიმილით შეხედა.

უცნობს უფრო დაუნაოჭდა სახე. ღრმად ჩაცვივნულ თვალებში რაღაც ცეცხლის ნაპერწკალი გაუკრთა, მაგრამ ისევ ჩაჰქრა.

— ღმერთმა გაპატიოს, თუ რამე დანაშაული გქონდეს. — უთხრა ყრუდ უცნობმა ბარბარეს.

— შენც გაპატიოს, შენც! — მიუგო ბარბარემ. — ის რავა არის? — ჰკითხა ისევ ბარბარემ.

— რავარც იყო...

— აღარაფერმა აღარ უშველა?

— შერყეულს რაღა მოარჩენდა.

— შეხედე, ქალბატონო დედის სურათი არ არის? — უჩვენა ბავშვზე ბარბარემ.

სტუმარი დააკვირდა ბავშვს.

— არა, მამის... მოდი ჩემთან, ბიჭო! — ბავშვს ხელი გაუწია. ბავშვმა თავი დაღუნა და ბებიას მოეხვია კისერზე.

— გაიზარდე, ცოდვის შვილო, გაიზარდე!... — უცნობი ადგა, ჯიბიდან მოზრდილი ქისა ამოიღო და ბარბარეს გადასცა. — ფული შენ, ნივთი მაგას შეუნახე... ორასი თუმნის საღირალი თვლებია, დედა მისის სამზითო იყო... ღმერთს გაფიცებ, შვილად გყავდეს. აღარავის აღარ ეჭირვება მაგისი თავი ... და ჩირქს მაინც ნულარ მოცხებ საწყალ დედა მისს. მშვიდობით, აწი აღარ შევხვდებით ერთმანეთს... მამული გავყიდე და რუსეთში მივალთ საცხოვრებლად... ვეღარ გაუძლე ხალხის ყაყანს! — ერთი კიდევ შეხედა ბავშვს, მხოლოდ მისმა თვალებმა აღარაფერი აღარ გამოსთქვა. ნაბადი მოისხა და ჩუმად გავიდა სახლიდან.

XIV

დიდი ხანი გავიდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. საშინელი საიდუმლო ისევ საიდუმლოდ დარჩა ყველასთვის.



რევოლიუცია ოსმალეთში.

მანიფესტაცია სალონიკში ახალგაზრდა ოსმალთა მომხრეებისა.

სოფელ ორტყოფში სოფრომ ჩინკავაძის ოჯახში იზრდებოდა პატარა, რვა-ცხრა წლის ნიკო. ნიკო იმისი სახელი იყო, მაგრამ არავინ არ ეძახდა ამ სახელს—„ნაპოვარა“ დაერქმიათ და ბავშვსაც ამ სახელზე ჰქონდა ყური მიჩვეული...

— ნაპოვარა, შეშა! ნაპოვარა, ძროხა! ნაპოვარა, ღორი! — ყველა იმას მისძახოდა. დაჩაგრული იყო ნაპოვარა ოჯახში.

— აი, დედასა, ჩემი ბებია არ მომკდომოდა, ასე ვერ დამჯაბნიდით! — ჩაილაპარაკებდა თვალში ცრემლ მორეული ნაპოვარა. იღლიაში ცივ მჭადის ნატეხს ამოიჩრიდა, საქონელს გაირეკავდა და გასწევდა მინდვრად. — რატო ვარ ასე უბედური? ყველა მე მიწყრება, ყველა მე მწყევლის. ამ ნაპოვარას რაღაზე მიძახიენ? ბებია ხო ნიკოს მეძახდა? ბებია მეუბნებოდა: ჩემი შვილი-შვილი ხარ, ქალიშვილი მყავდა და მომიკვდაო. ესენი კი ნაპოვარას მიძახიენ... ნეტეი ვიცოდე ჩემი ამბავი, ვინა ვარ? ან მამა არ მყავდა ან და-ძმა... ახ, არ ვიცი... არ ვიცი ჩემი თავი.. ვინა ვარ.—დაუმატებდა, მაგრამ ამ დროს დაინახავდა ან ღორს ან ძროხას ყანაში გადასულს, თავის ფიქრებს თავს ანებებდა და ყვირილით გამოუდგებოდა ხოლმე უკან პირუტყვს.

მ. გარიყული.

სურათი

სხივთა მძივები დიად მზის
მიდამოს გარდმოჰფენოდა
და ამაყ კავკასს, ვით მეფეს,
გვირგვინებრ ედგა, ჰშვენოდა.

—

ვით ტურფა კეკლუც-ლამაზი
ბარი ცას ეღიმებოდა
და უთვლელ ფერად ყვავილით
იქარგებ-იკაზმებოდა.

—

მძაფრ ზამთრით შეწუხებული
გული სიამით კრთებოდა
და საოცნებო ღელვილ ზღვის
სილრმეში შთაინთქმებოდა.

—

ნორჩ ტყის ბუჩქნარის ჭერის ქვეშ
ია კვლავ იფურჩქნებოდა,
მის სურნელება საამო
გარემოს ეფინებოდა.

—

ლაღ ფრთებ გაშლილი ნიავი
ველ მინდვრად ჰქროდა, სიოდა
და ძლევის ამბავს შორით-შორს
მთიდან არწივი ჰკიოდა.

გოგია უიშვილი.

წვრილი ამბები

მოტყუება პირველ აპრილს.

როგორც ვიცით, პირველი აპრილი მოტყუების დღეა. ერთ გაზეთს იტალიაში მცხოვრებნი ასე მოუტყუვებია: ერთი კვირის წინ პირველ აპრილამდე გაზეთში დიდის ასოებით დაუბეჭდია, რომ ამ დღეებში ჩვენ ქალაქში ინდოეთის პრინცი ჩამოვაო. პირველ აპრილამდე ორი დღე და დარჩენილიყო, რომ გაზეთს დაუსტამბავს, პრინცი უკვე ჩამოვიდაო. ისიც დაუბეჭდია, პრინცი აქა და აქ ჩამოხდაო. აუარელბელი ხალხი წასულა პრინცის სანახავად. მაგრამ გაზეთმა გამოაცხადა, რომ პრინცი ავად არის და არავის იღებსო. პი ველ აპრილს გაზეთს დაუბეჭდია, რომ პრინცი გადაიცვალა და ნაშუაღამევის 2 საათზე ინდოელების ჩვეულებისამებრ დაასაფლავებენო. გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტს ამის შესახებ დეპეშაც კი გაუგზავნია ლონდონში: „აქ ჩამოსული ინდოელი პრინცი გრადიიცვალა და მათის ჩვეულებისამებრ ნაშუაღამევს დაასაფლავებენო.“ ჯერ კიდევ შუაღამე არ შესრულებულიყო, აუარებელი ხალხი სასტუმროს (სადაც ვითომ პრინცის გვამი იყო) მიაწყდა. მეეტლეებმა ერთი ორად აუწიეს ფასს. ყველა მოუთმენლად ელოდა პრინცის დასაფლავების ნახვას შესრულდა ნაშუაღამევის 3 საათი და ისინი მაინც არ ასაფლავებდნენ. უცბად რამდენიმე მხრიდან გაისმა: „პირველი აპრილია. მოგატყუეთო.“ წარმოიდგინეთ ამდენი ხალხის გაბრაზება, ყველა აღელდა. გაბრაზებულები იყვნენ, რომ ასე უბრალოდ მოსტყუვდნენ.



რევოლიუცია ოსმალეთში.

ახალგაზრდა ოსმალთა ჯარი მატარებელში ჯდება სტამბოლზე გასალაშქრებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე ელექტრო-მბეჭდავი მ. დ. კიკნაძისა, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.